პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 198 (4708)

1972 წ. 5 ოქტომბერი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## რადიო-ექსპედიციის საინტერესო ამოცანა

ქუთაისის დოსააფის რადიოკლუბმა საინტერესო რადიოექსპედიცია დაიწყო: ხუთი დღე-ღამის განმავლობაში რადიოკლუბის ოპერატორები განუწყვეტლივ იმუშავებენ ეთერში ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს ავტონომიური რესპუბლიკა იმიტომ აირჩიეს, რომ დღესდღეობით იგი ერთგვარი თეთრი ლაქაა რადიომოყვარული ქვეყნების რუკაზე (მსოფლიო დაყოფილია 300-ზე მეტ ასეთ ქვეყნად, რომელთა მიჯნები გეოგრაფიულ საზღვრებს ზოგჯერ არც ემთხვევა).

და აი, ქუთაისელმა რადიომოყვარულებმა გადაწყვიტეს წაშალონ ეს თეთრი ლაქა. მათ განზრახული აქვთ ამ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობით დაამყარონ 10-15 ათასი კავშირი თავიანთ კოლეგებთან დედამიწის ყველა კუთხეში. ეს, თუ შეიძლება ითქვას, რადიოექსპედიციის სპორტული ამოცანაა. ამას გარდა, ექსპედიციამ დიდი როლი უნდა შეასრულოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების რადიომოყვარულთა შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებაში, ახალგაზრდებში რადიოსპორტის პროპაგანდის მიზნით.

ექსპედიციის შემადგენლობაში არიან ქუთაისის საუკეთესო რადიომოყვარულები. მათ შორის უნდა დავასახელოთ სსრ კავშირის სპორტის ოსტატი რადისტი შ. ჩიხლაძე, საქართველოს რადიოსპორტის ფედერაციის ქუთაისის სექციის თავმჯდომარე ი. ბერეჟნოცკი, რადიოკონსტრუირების საუკეთესო სპეციალისტი ო. კორნილოვი, გამოცდილი სპორტსმენები ა. ბარბაქაძე, ბ. ფხაკაძე, ე. მელნიკი.

ექსპედიციის მარშრუტი ასეთია: თბილისი — ყაზახი—იჯევანი—დილიჟანი — სევანი — რაზდანი — აბოვიანი — ერევანი — არტაშატი — ნახიჩევანი. გზადაგზა მოეწყობა ხავეიტაციო საუბრები მოსახლეობასთან ასეთ თემებზე: „საბჭოთა კავშირი რადიოს სამშობლოა", „რადიოსპორტი სსრ კავშირში და საბჭოთა რადიომოყვარულთა მიღწევები", „რადიომოყვარულები ხვდებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს" და სხვ.

დღეს ეთერში ქუთაისის რადიომოყვარულთა პირველი სიგნალები გაისმა. რადიოექსპედიცია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

ზ. ქვათაძე.

## სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს

„ვოდნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში კიევში გაიმართა. შეჯიბრებაში 150-ზე მეტი სპორტის ოსტატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა. საქართველოს ნიჩბოსნებმა, რომლებიც მეორე ჯგუფში ასპარეზობდნენ, გუნდური I ადგილი დაიკავეს.

პირად ჩათვლაში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონებმა, ფოთელმა სპორტის ოსტატებმა ზ. ხოფერიამ და ნ. ჩარაევმა 500 მეტრზე ორადგილიანი კანოეებით ტურნირში იმარჯვეს, ხოლო 1000-მეტრიან დისტანციაზე II ადგილი მოიპოვეს.

ოთხადგილიანი ბაიდარებით 10 კილომეტრზე ასპარეზობაში საქართველოს გუნდს (ბათუმელები ვ. ვიშნიაკოვი და ზ. ეგუთიძე, ფოთელები პ. ზაბოლოცკი და გ. ლაგვილავა) II ადგილი ხვდა. ეგუთიძემ და ლაგვილავამ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს.

ო. მურვანიძე.



სურათზე: ზ. ხოფერია და ნ. ჩარაევი.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ლიდერებმა პოზიცია განიმტკიცეს

როვნო, 3 ოქტომბერი. როცა საბჭოთა ქვეყნის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა აქ საკავშირო მრავალდღიანი რბოლის IV ეტაპი დაამთავრეს, მათ ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდით: ტერნოპოლიდან მოყოლებული, მთელს 163-კილომეტრიან გზაზე თოვლნარევმა წვიმამ მოასპარეზეთა ნაირფერი მაისურები მუქი სალებავებით შეღება.

ასეთ რთულ ვითარებაში საუკეთესო აღმოჩნდა მოსკოველი ი. ლავრუშკინი, რომელმაც ადგილობრივი „ავანგარდის" სტადიონის რეზინ-ბიტუმის ბილიკზე შეძლო ცხრა უახლოესი მეტოქის ჩამოტოვება და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ზონიფიკაციის ჩათვლით მისი დროა 3:59.06.

ათი დაწინაურებული მრბოლელი, რომელთა შორის შეჯიბრების ლიდერი, რიგელი რ. კალნენიექსიც იყო, სტარტიდან პირველი საშუალედო ფინიშის (75-ე კილომეტრზე) შემდეგ დაახლოებით 3 წუთით უსწრებდა ძირითად ჯგუფს. ეს საშუალედო ფინიში ალმაათელმა თ. ტუსუმხანოვმა მოიგო. 112-ე კილომეტრზე გამართული მეორე საშუალედო ფინიშის ხაზი პირველმა კალნენიექსმა გადაკვეთა. იგი ძალიან ისწრაფვოდა ეტაპზე გამარჯვებისკენ, მაგრამ მეტოქეები ფხიზლად „ყარაულობდნენ" რიგელ ველომრბოლელს.

ეტაპზე II ადგილი დაიკავა კუიბიშეველმა ა. ვოდიანიკოვმა (ახლა იგი შეჯიბრების ყველაზე აქტიური მრბოლელიცაა) — 3:59.26. III ადგილზეა ასევე კუიბიშეველი ვ. კირიჩენკო — 3:59.36.

კალნენიექსმა მეექვსემ გადაკვეთა IV ეტაპის ფინიშის ხაზი და მას ოთხი ეტაპის ჯამში საუკეთესო შედეგი აქვს — 14:52.30. მოწინავე სამეულის დანარჩენი წევრები არიან კუიბიშეველები ნ. სიტნიკი (14:53.23) და ა. გუსიატნიკოვი (14:57.52).

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურებული სამეულის შედეგები ასეთია: კუიბიშევი — 44:47.53, უკრაინა — 44:57.48, მოსკოვი — 44:59.50.

### წაიკითხეთ:

მე-2 გვერდზე — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სპარტაკიადის მასალები.

მე-4 გვერდზე — გაიმარჯვა კუბილასის. მანეიროსა და მათი სამხრეთამერიკელი მეგობრების ნაკრებმა გუნდმა.

## [illegible]-72

ვენა, 3 ოქტომბერი. ამ დღეებში აქ გაიმართა ჰოკეიში მსოფლიოსა და ევროპის მომავალი ჩემპიონატის (მოსკოვი) დირექტორატის სხდომა. დამტკიცდა მატჩების დღეები და საათები. ჩემპიონატი გაიხსნება 31 მარტს 16 საათზე მოსკოვის დროით ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების შეხვედრით.

იიგლავა, 3 ოქტომბერი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გაიმართა ჰოკეიში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დუკლა" და ეილეს „ბრიუნესი" (შვეცია). ბევრი მოელოდა ჩეხოსლოვაკიის გუნდის რევანშს, მაგრამ ეს კოლექტივი მეორე შეხვედრაშიც დამარცხდა, ამჯერად ანგარიშით 2:6. ამრიგად, „ბრიუნესი" გათამაშების ფინალში გავიდა.

[illegible]-72

### ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები

## პირად შეჯიბრებაში უკეთ გამოვიდნენ




იუნიორთა შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ერევანში ჩატარდა. ნაკრებში შედიოდნენ ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომლებსაც დიდი ტურნირების გამოცდილება აკლიათ. ეს განსაკუთრებით ეხებათ საქართველოს ათლეტებს. ამან, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა გუნდური შეჯიბრების შედეგებზე.

საქართველოსა და სომხეთის კოლექტივების ორთაბრძოლაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 19:17. შემდეგ ჩვენები აზერბაიჯანის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ამჯერადაც დამარცხდნენ — 13:17. რაც შეეხება სომხეთის გუნდს, მან გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო (18:17) აზერბაიჯანის ნაკრებს და I ადგილზე გავიდა.

გუნდურმა წარუმატებლობამ ჩვენი მოჭიდავეები პირად ჩათვლაში გამარჯვებისთვის დარაზმა. ისინი აზრიანად, თავგამოდებით ჭიდაობდნენ და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს: მეორე ქვესაშუალო წონის ათლეტმა თ. ლეჟავამ ფინალში ერევნელი ნ. ტონიკიანი დაამარცხა და ჩემპიონობა დაისაკუთრა. ასევე დამაჯერებლად მოიგო ტურნირი იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა თ. კიკნაძემ (მეორე საშუალო წონა).

ზემოჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა პირველი მეგობრული თამაშების ჩემპიონები გახდნენ ზ. ხუბაშვილი (მსატე), მ. სალაძე (მეორე საშუალო წონა) და ა. ლომაშვილი (მძიმე). სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა ქვემსუბუქი წონის ათლეტმა ნ. მაჭარაშვილმაც, რომელსაც II ადგილი ხვდა.

ტურნირმა ცხადყო, რომ საქართველოში არიან ნიჭიერი, ახალგაზრდა სპორტსმენები. მუშაობის სწორად წარმართვის შემდეგ ისინი წარმატებით შეცვლიან ჩვენს ფავორიტებს.

ო. ჩხაიძე, სპორტის ოსტატი. (ჩვენი სპეც. კორ.).

ერევანი.

## ფინიშისკენ — მჭიდრო ჯგუფად

### მთავარი ბრძოლა ქალებსაც დაეწყოთ

სკოპლე, 4 ოქტომბერი. ფინიშისკენ მჭიდრო ჯგუფად მიიწევენ საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის ლიდერები: იუგოსლავიის ნაკრებმა 19,5 ქულა მოაგროვა (2 პარტია გადადებულია), უნგრეთის გუნდს 18,5 ქულა აქვს (1 პარტია გადადებულია), საბჭოთა მოჭადრაკეებს — 18 (1 პარტია დასამთავრებელია).

მთავარი ფინალის გუშინ გამართულ VII ტურში საბჭოთა დიდოსტატები შვეციის გუნდს შეხვდნენ და დამაჯერებლად გაიმარჯვეს. სმისლოვმა დაამარცხა ოლსონი, კარპოვმა — უდენფელდტი. პეტროსიანის პარტია შვედების ლიდერ ანდერსონთან ყაიმით დამთავრდა. კორჩნოიმ ორნშტეინთან პარტია გადადო.

იუგოსლავიის ნაკრები არგენტინელებს ხვდებოდა. ჯერჯერობით ანგარიშია 1,5:0,5 მასპინძელთა სასარგებლოდ. ორი პარტია დასამთავრებელია. ისევ საჭადრაკო ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნა ნიჭიერმა ახალგაზრდა დიდოსტატმა ლიუბოევიჩმა, რომელიც იუგოსლავიაში უაღრესად პოპულარულია. მან ზუსტი გზით წარმართა პარტია ემასთან და გაიმარჯვა.

მატულოვიჩმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პანესთან. პარტიები გადადეს გლიგორიჩმა და გარსიამ, ივკოვმა და რუბინეტმა.

მთავარი ფინალის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: პოლანდია — გდრ 2:0 (2 პარტია გადადებულია), ბულგარეთი — პოლონეთი 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 1,5:1,5 (1), გფრ — შვეიცარია 3:1, დანია — რუმინეთი 1,5:1,5 (1), აშშ — ესპანეთი 2:1 (1).

მთავარი ფინალის I ტური ითამაშეს მოჭადრაკე ქალებმაც. სსრ კავშირ — რუმინეთის შეხვედრაში წინაა საბჭოთა გუნდი — 1:0 (კუშნირმა დაამარცხა ნიკოლაუ).



ქალთა V ოლიმპიადაში საბჭოთა სპორტის ღირსებას მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთან ნ. გაფრინდაშვილთან და თბილისელი მოჭადრაკის მუდმივ მეტოქესთან, მოსკოველ ა. კუშნირთან ერთად წარმატებით იცავს სსრ კავშირის ჩემპიონი, ახალგაზრდა ლენინგრადელი მოჭადრაკე ი. ლევიტინა.

სურათზე: ი. ლევიტინა.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადა

სსრკ 50

# სად, რა, როდის?

რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე გრძელდება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ფინალური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია 80 სახეობა. სპარტაკიადის პირველი (შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში) და მეორე ეტაპის (სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადები) ასპარეზობანი უკვე დამთავრდა. ახლა საუკეთესო კოლექტივები ფინალურ ტურნირებში გამარჯვებისთვის იბრძვიან. ფინალური შეჯიბრებები უკვე დაამთავრეს ხელბურთელებმა, მესტენდურეებმა, მოჭადრაკეებმა (ტურნირებში 23 წლამდე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობენ).

ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში და ცურვაში მოზარდთა გუნდებიც გამოვლენ.

გთავაზობთ დარჩენილ სახეობათა კალენდარს:

| | | |
|---|---|---|
| აფროსნობა | 5-10 ოქტომბერი | ფოთი |
| მძლეოსნობა | 5 ოქტომბერი | თბილისი |
| ფეხბურთი | 5-13 ოქტომბერი | მახარაძე, სამტრედია |
| თანამედროვე ხუთჭიდი | 5-9 ოქტომბერი | თბილისი |
| კალათბურთი | 5-6 ოქტომბერი | თბილისი |
| ლელო | 5-10 ოქტომბერი | ფოთი |
| კლასიკური ჭიდაობა | 8-10 ოქტომბერი | გორი |
| კრივი | 9-12 ოქტომბერი | ქუთაისი |
| ცხენოსნობა | 11-16 ოქტომბერი | თბილისი |
| ხაგზატკეცილო ველორბოლა | 11-13 ოქტომბერი | სოხუმი |
| წყალბურთი | 12-16 ოქტომბერი | ბათუმი |
| აკადემიური ნიჩბოსნობა | 12-13 ოქტომბერი | ფოთი |
| სამბო | 12-14 ოქტომბერი | გორი |
| ტანვარჯიში | 12-16 ოქტომბერი | (იუნიორები) თბილისი |
| | 20-25 ოქტომბერი | (მოზარდები) თბილისი |
| ფრენბურთი | 14-20 ოქტომბერი | სოხუმი |
| ცურვა | 14-17 ოქტომბერი | ქუთაისი |
| ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა | 14-16 ოქტომბერი | ფოთი |
| ძიუდო | 16-19 ოქტომბერი | გორი |
| ტყვიის სროლა | 19-25 ოქტომბერი | სოხუმი |
| ჩოგბურთი | 20-25 ოქტომბერი | ბათუმი |
| ქართული ჭიდაობა | 21-23 ოქტომბერი | გორი |
| ფარიკაობა | 23-29 ოქტომბერი | თბილისი |
| წყალში ხტომა | 27-30 ოქტომბერი | ბათუმი |
| თავისუფალი ჭიდაობა | 28-30 ოქტომბერი | გორი |
| ტრეკზე ველორბოლა | 28-30 ოქტომბერი | თბილისი |
| მშვილდოსნობა | 28-31 ოქტომბერი | ქუთაისი |
| ძალოსნობა | 28-31 ოქტომბერი | ქუთაისი |

# თუ გული გულობს...

ახლახან სოხუმში დამთავრდა საქართველოს პირველობა 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ხელბურთელებს შორის. შეჯიბრებაში ყველა სპორტსაზოგადოების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, თუმცა, სიტყვა „ნაკრები" ამ შემთხვევაში პირობითია, ვინაიდან ცალკეული კოლექტივების წევრები ერთი ქალაქიდან იყვნენ — „ბურევესტნიკის" ქალები და ვაჟები თბილისიდან, სპარტაკელები — რუსთავიდან, „კოლმეურნე" — სოხუმიდან. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ „განთიადის" ქალთა გუნდი, რომელშიც რამდენიმე ბათუმელი ხელბურთელიც გამოდიოდა. „ლოკომოტივის" ქალთა გუნდი დაკომპლექტებული იყო სამტრედიელი და ზესტაფონელი... კალათბურთელებით.

რა შეიძლება ითქვას ამ შეჯიბრებაზე? იგი ურიგოდ როდი იყო მოწყობილი, მსაჯობაც საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, მხოლოდ თვით მონაწილე გუნდების თამაშმა დატოვა ერთობ უსიამოვნო შთაბეჭდილება. მაგალითად, რა ხანახავია მატჩი, როცა ერთ გუნდს 17 გოლი გააქვს მეტოქის კარში, მეორეს კი არც ერთი. დიახ, „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდმა „ლოკომოტივი" დაამარცხა ანგარიშით 17:0. თამაშის შემდეგ დარცხვენილი რკინიგზელები ამბობდნენ, ჩვენ კალათბურთელები ვართ და მეტი რა შეგვეძლოო.— ვინც ამ თამაშს ესწრებოდა, დაგვეთანხმება, რომ ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა, მეორე ტაიმში ბურევესტნიკელებს „სინდისის ქენჯნა" რომ არ ეგრძნოთ.

ზემოთ ხაზი გავუსვით მონაწილეთა ასაკს. ვვარაუდობდით, რომ გუნდები ძირითადად 21-22 წლის ახალგაზრდებით იქნებოდა დაკომპლექტებული, რომ სარბიელზე ვიხილავდით 17-18 წლის მხოლოდ რამდენიმე ხელბურთელს. მაგრამ სოხუმში სულ სხვა იყო: გუნდები უმთავრესად იმ ხელბურთელებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც სამი-ოთხი თვის წინ მოსწავლეთა სპარტაკიადებში გამოდიოდნენ. მაგალითად, „სპარტაკის" ქალიშვილთა გუნდს მთლიანად 16-17 წლის მოსწავლეები შეადგენდნენ.

საერთოდ, ხელბურთელები არც ისე განებივრებული არიან შეჯიბრებათა სიმრავლით და თუ ტარდება ტურნირები, თითქმის მუდამ ერთი და იგივე სპორტსმენები გამოდიან. ამ გზით ჩვენი ხელბურთელები შორს ვერ წავლენ. რაც დრო გადის, სახელოვანი ვეტერანების შემცვლელთა პოვნა ძნელდება. 1961-1968 წლებში საბჭოთა ხელბურთის ერთ-ერთ ცენტრად საქართველო ითვლებოდა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო პირველობებში, დიდ ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობდნენ. დღეს კი, როცა ხელბურთი ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა, ვკითხულობთ ნაკრების წევრთა გვარებს და ვერც ერთ ჩვენს თანამემამულეს ვერ ვხვდებით.

საქართველოს ბევრ ქალაქში გულგრილად ეკიდებიან ხელბურთს. თბილისში ასე თუ ისე ნორმალურად მუშაობენ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ წლეულს კიევში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში აფხაზეთის, ქუთაისის, ფოთის წარმომადგენლებიც იყვნენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სკოლის დამთავრების შემდეგ ის ახალგაზრდა ხელბურთელები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ხვდებიან, უკვალოდ იკარგებიან. სწორედ ამიტომ არის, რომ იუნიორთა შეჯიბრებებში ისევ მოსწავლეები გამოდიან.

საკვირველია ისიც, რომ ხელბურთის განვითარებაზე უარს ამბობენ დიდი სპორტული ორგანიზაციები — „დინამო", არმიის სპორტკლუბი და „შრომითი რეზერვები". ბევრმა შეიძლება სპორტული ბაზების უქონლობა მოიმიზეზოს, მაგრამ მათ უნდა შევახსენოთ ერთი ქართული ანდაზა: თუ გული გულობს...

სოხუმში გამართულ პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალები. 1. „ბურევესტნიკი", 2. „განთიადი", 3. „კოლმეურნე". ვაჟები. 1. „ბურევესტნიკი", 2. „კოლმეურნე", 3. „სპარტაკი".

ჯ. ძაგანია,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

# მთავარი საზრუნავი



დოსააფის წალენჯიხის რაიკომის მუშაკებმა საპროგრამო ამოცანად დაისახეს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვა. ისინი კომპლექსში ხედავენ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზებს. დოსაafის პირველად ორგანიზაციებში გამოაკრეს სპეციალური პლაკატები, მოაწყვეს სტენდები, პირველად ორგანიზაციათა თავმჯდომარეებს თათბირ-სემინარებზე განუმარტეს კომპლექსის მნიშვნელობა და მოთხოვნები.

„პირველადი ორგანიზაციის არც ერთი წევრი არ დარჩეს ახალი კომპლექსის გარეშე!" —ასეთი დევიზით გაიშალა მუშაობა. ყოველივე ამას სასურველი შედეგი მოჰყვა. ნორმატივების ჩაბარებაში 7700 კაცი ჩაება. განსაკუთრებით აქტიურობენ რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეები.

ჯვარის 1-ელ საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. ჭანტურია, სამხედრო სწავლების მასწავლებელი კ. მატუა) პირველი საფეხურის ნორმატივი უკვე ჩაბარებული აქვს 43 მოსწავლეს, მეორე საფეხურისა — 50-ს, მესამე საფეხურისა კი 36-ს. კარგი მდგომარეობაა ჯვარის მე-2, წალენჯიხის 1-ელ, საჩინოს, ჯგალის, ნაკიფუს და ლიის საშუალო სკოლებში.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში წარმატება მოიპოვეს, აგრეთვე, კოლმეურნეობების, საწარმო-დაწესებულებების დოსააფის პირველადმა ორგანიზაციებმა.

წალენჯიხის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ჭანტურია, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ბ. ჩალიგავა) ორგანიზებულად დაიწყო ნორმატივების ჩაბარება. IV საფეხურის ნორმატივები ჩაბარებული აქვს 24 კოლმეურნეს, V საფეხურისა — 55-ს. კარგად მუშაობენ საჩინოს ქდანოვის, ლიის თბილისის, ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობათა დოსააფის პირველადი ორგანიზაციები.

რაიონში II-V საფეხურების ნორმატივები ჩაბარებული აქვს ათასამდე კაცს. ყველა სახეობაში ფრიადი მიიღეს ჯვარელმა ლ. ფიფიამ, ლიელმა გ. მარღიამ, წალენჯიხელებმა ბ. კვარაცხელიამ, გ. მიქავამ, ზ. სარიამ, ო. აბულაძემ, საჩინოელმა თ. ჯანჯღავამ და სხვ.

მიუხედავად ამისა, დოსააფის რაიონული კომიტეტის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, რომელთა უმოკლეს დროში გამოსწორება აუცილებელია. ავიამოდელისტების მომზადება (გეგმით 6 ავიამოდელისტი უნდა მომზადდეს) შეჩერებულია, ვინაიდან სპეციალისტი არ ჰყავთ. მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს არსებული სასროლეთი. საჭიროა დამატებით გაიხსნას ტირი.

თ. სალია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

# III ადგილზე

ძერჟინსკში გაიმართა ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო პირველობა ტყვიის სროლაში.

შეჯიბრებაში 21 გუნდი მონაწილეობდა. ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის წარმომადგენლებმა (საწარმოს ფიზკულტურის ინსტრუქტორი შ. სოფრომაძე) III ადგილი დაიკავეს.

ნ. მჭედლიშვილი.

# ყველა ლიდერი ცნობილია

კალათბურთელთა ტურნირში მონაწილე სპორტსმენთა ასაკი 17-19 წლების ფარგლებში მერყეობს. ისინი თავგამოდებით იბრძვიან ყოველ მატჩში და საკმაოდ მაღალ ტექნიკურ მომზადებასაც ამჟღავნებენ.

თბილისში, ლენინის სახელობის დარბაზში მიმდინარე ამ ჩემპიონატს, ისევე როგორც ყველა სხვა შეჯიბრებას, რა თქმა უნდა, თავისი ფავორიტები ჰყავს. ვაჟთა მეორე ქვეჯგუფში (გუნდები ორ-ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასულნი საბოლოო გამარჯვებისთვის განაგრძობენ ბრძოლას) ასეთი ფავორიტია „დინამოს" კოლექტივი. დინამოელებმა უკვე დაამთავრეს წინასწარი შეხვედრები. მათ დამაჯერებლად მოიგეს ორივე მატჩი: „განთიადს" სძლიეს ანგარიშით 135:55, ხოლო „ლოკომოტივს" — 120:40. როგორც ხედავთ, „დინამოს" ჩინებული ბალანსი აქვს (255:95), რაც იმაზე მეტყველებს, რომ კოლექტივი ძლიერად მოქმედებს თავდასხმაში და ასევე ეფექტურადაც იცავს თავს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა პირველი ქვეჯგუფის ლიდერის „კოლმეურნის" თამაშმა. ამ გუნდმა მეტად საჭირო ქულა აართვა „ბურევესტნიკის" ძლიერ კოლექტივს (79:69) და ფაქტიურად, ქვეჯგუფში I ადგილის უცილობელი პრეტენდენტია.

ბურევესტნიკელები საპრიზო ადგილისთვის განაგრძობენ ბრძოლას. მათ კიდევ შეუძლიათ გამოასწორონ მდგომარეობა. ამისთვის საჭიროა წარმატებით თამაში ნახევარფინალურ მატჩში, თუმცა ეს უკვე მარჩიელობაა, მით უმეტეს, რომ „ბურევესტნიკს" მომდევნო შეხვედრის ჩატარება ალბათ „დინამოსთან" მოუწევს.

ქალთა წინასწარ ტურნირის პირველ ქვეჯგუფში ერთპიროვნულად ლიდერობს „ბურევესტნიკი". მან იოლად გაიმარჯვა „დინამოსთან" ორთაბრძოლაშიც (62:34) და სპარტაკელებთან მატჩშიც (86:44). ფინალში გასვლა უზრუნველყოფილი აქვს „ლოკომოტივსაც", რომელმაც ასევე ორი შეხვედრა მოიგო: „დინამოსთან" — 41:25, „სპარტაკთან" — 62:51.

ქალთა მეორე ქვეჯგუფში ბრძოლას განაგრძობენ „შრომითი რეზერვებისა" და „კოლმეურნის" კოლექტივები. ქვეჯგუფში I ადგილის ბედს ამ გუნდების ურთიერთშეხვედრა გადაწყვეტს.

ნ. ახვლედიანი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### ფიზიკურ აღზრდას ეძღვნება

დონის როსტოვი, 3 ოქტომბერი. ადგილობრივ პედაგოგიურ ინსტიტუტში დღეს გაიხსნა საკავშირო კონფერენცია ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკური აღზრდის თაობაზე. კონფერენციამ მეცნიერებს, ფიზაღზრდის მასწავლებლებს, მედიკებსა და ფსიქოლოგებს მოუყარა თავი. მუშაობაში მონაწილეობენ სტუმრები ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, მონგოლეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან.

კონფერენციის ყურადღების ცენტრშია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შუქზე.

ერთ-ერთი მთავარი მოხსენება მიძღვნილია თემისადმი: „მშდ ახალი კომპლექსი და სკოლა".

კონფერენცია ხუთ დღეს გასტანს.

### პირველი ათასეული

სუმგაითი, 4 ოქტომბერი. სინთეტური კაუჩუკის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა პირველმა ათასეულმა ჩააბარა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივები საწარმოს საერთო საცხოვრებლის სპარტაკიადის დროს. მათგან ნახევარი ოქროს სამკერდე ნიშნებს მიიღებს.

კვირაში სამჯერ ქალაქის ცენტრალური სტადიონის მთავარი სარბიელი და საწვრთნელი მოედნები ქიმიკოსთა განკარგულებაშია. ქარხნის ფიზკულტურელებს აქვთ თავიანთი სპორტული დარბაზი, ფრენბურთის, კალათბურთის, რიკაობის მოედნები.

სპორტკლუბ „კასპიის" 14 სექციაში ქარხნის 4 ათასამდე მუშა-მოსამსახურეა გაერთიანებული, მათგან ნახევარზე მეტი თანრიგოსანია. ქარხნის სპორტული დიდების ოთახში გამოფენილია საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მოპოვებული 200-ზე მეტი ჯილდო.

ფიზკულტურას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი აქვს მიკუთვნებული საწარმოს განვითარების სოციალურ გეგმაში. ქარხანაში იციან, რომ ეს წარმატების ერთ-ერთი უპირველესი საწინდარია. კომუნისტური შრომის დამკვრელთა 80 პროცენტი სპორტის მეგობარია.

ქარხნის ფიზკულტურელებისადმი დიდ მზრუნველობას იჩენენ ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბოლო ორ წელიწადში სპორტისთვის ორჯერ მეტი თანხა გამოიყო. იყიდეს კარგი ინვენტარი, ემზადებიან ახალი საცურაო აუზისა და აფროსანთა კლუბის ასაგებად.

ქარხნის ბევრი ხელმძღვანელი კარგ მაგალითს აძლევს მუშებს. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა მთავარი ინჟინრის მოადგილემ ა. ბაიარამოვმა. ვერცხლის სამკერდე ნიშნები მიიღეს საწარმოს დირექტორმა ხ. რზაევმა და მთავარმა ინჟინერმა რ. გალსტიანმა.

კომპლექსის პოპულარობა თანდათან მატულობს. სუმგაითის საწარმოებში ქალაქის 5 ათასზე მეტი მცხოვრები უკვე ნიშნოსანია. 12 ათასი ფიზკულტურელი ემზადება ნორმატივების ჩასაბარებლად.

საკუთარ მოიკითხოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### II ლიგა III ზონა

# ჩვენი რესპუბლიკის გუნდები: 2 მოგება, 2 ფრე

3 ოქტომბერს გამართული მორიგი ტურის მატჩების შესახებ ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### გორი

ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართა ადგილობრივ „დილასა" და ზონის ერთ-ერთ ლიდერს — მახარაძის „მერცხალს" შორის.

უპირატესობას თავდაპირველ ა დ სტუმრებმა მიაღწიეს. ისინი უფრო აქტიურად იბრძოდნენ, მეტს მოძრაობდნენ და ერთმანეთს კარგად უქმნიდნენ ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას. „მერცხლის" თავდასხმის წინა ხაზზე იყვნენ ბახტაძე და მეტრეველი, ხოლო მარჯვენა ფლანგზე ლიად დარჩენილ ზონაში შეტევის მეორე ხაზიდან სისტემატურად შედიოდა ჭელიძე. ამ მანევრის შედეგად „დილის" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა და მალე მეტრეველი — ბახტაძის კომბინაციის შემდეგ პირველი გოლიც გავიდა. სტუმრები განაგრძობდნენ სწრაფ იერიშებს მარჯვენა ფლანგიდან. აი, ჭელიძემ მიიღო ბურთი, გადასცა ისიანს და ანგარიში გახდა 2:0.

გორელები ტაიმის განმავლობაში მხოლოდ კონტრშეტევების იმედით იყვნენ. ერთ-ერთ მომენტში, როცა ბურთი შუა მინდორში იყო, ბუზალაძემ შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა და მოულოდნელი შორეული დარტყმით გაქვითა ერთი გოლი.

შესვენების შემდეგ მახარაძელებმა საგრძნობლად უკლეს ტემპს, ხოლო მასპინძლები სულ უფრო აძლიერებდნენ შეტევებს. შუა ტაიმში „მერცხლის" დაცვამ შეცდომა დაუშვა, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენა იმავე ბუზალაძემ — 2:2. ამ ფეხბურთელმა საერთოდ კარგად ითამაშა.

ეს დაძაბული თამაში კორექტულად მიმდინარეობდა. კარგად იმსაჯა ბრიგადამ მ. ნადიროვის, ა. აბულაშვილისა და გ. ეჯიბიას შემადგენლობით.

**ნ. ახალკაცი,**
ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, სპორტის ოსტატი.

### ფოთი

ადგილობრივი „კოლხეთის" მეტოქე იყო ზონის აუტსაიდერი — კურსკის „შრომითი რეზერვების" გუნდი.

ფოთელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და უკვე დასაწყისშივე შექმნეს სახიფათო მომენტები მოპირდაპირე კართან. მე-15 წუთზე დოროხინის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0.

ათიოდე წუთი იყო გასული მეორე ტაიმის განახლებიდან, როცა კვარაცხელიამ სწრაფად აუარა გვერდი სტუმრების მცველებს, გადააწოდა დოროხინს და კურსკელთა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა. მაგრამ ამის შერე „კოლხეთის" ფორვარდებმა შეანელეს შეტევა, რასაც მოჰყვა სტუმრების საპასუხო იერიში და გოლიც.

დარჩენილ დროში ფოთელებმა კიდევ ერთხელ შეძლეს ორბურთიანი სხვაობით დაწინაურება. გოლი კვლავ დოროხინმა გაიტანა, მაგრამ არც ეს ანგარიში აღმოჩნდა საბოლოო: „შრომითი რეზერვების" თავდამსხმელმა გაბენევმა 82-ე წუთზე შეძლო მეორე საპასუხო გოლის გატანა.

მატჩი ანგარიშით 3:2 მოიგო „კოლხეთმა", თუმცა მას შეეძლო უკეთესი შედეგის მოპოვება.

**ზ. ზასილაია.**

### სხვა ზონები

ასე დამთავრდა: „დინამო" (სოხუმი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 2:2, „გურია" (ლანჩხუთი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 2:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 1:0, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 6:0.

# „ავაზა" ნახევრობისთვის ემზადება

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა მეცადინეობა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ბავშვთა სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლა „ავაზაშიც", რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი ხელმძღვანელობს. აქ მუშაობენ, აგრეთვე, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მინაევი, სპორტის ოსტატები დ. ხუნდაძე და ვ. რამიშვილი.



სკოლაში მრავლად არიან ნიჭიერი ნორჩი ფეხბურთელები. ერთ-ერთი მათგანია 12 წლის გია ომიაძე, რომელსაც მწვრთნელები კარგ მომავალს უქადიან. ლვოვში გამართულ „ტყავის ბურთის" კლუბის საკავშირო ფინალურ ტურნირში მან ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

სკოლამ სულ ახლახან კარგი საჩუქარი მიიღო: დიღმის მასივში აშენდა საწვრთნელი ბაზა, რომელიც კეთილმოწყობის შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. დღეს კი ბავშვები თავიანთი პედაგოგების ხელმძღვანელობით სისტემატურად ვარჯიშობენ, იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას, ემზადებიან მომავალი ასპარეზობებისთვის. ამავე დროს ტარდება სკოლაში მეცადინეობის მსურველთა გამოცდა-მიღება.

**ც. ფცქიალაძე.**

* * *

სურათებზე: ნორჩ ფეხბურთელთა წვრთნის მომენტი; გ. ომიაძე ტექნიკის დაუფლებაში ვარჯიშისას.

თ. ქიქავას ფოტოები.

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:1. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

ბრძოლა თანაბარი იყო და თამაში თითქოს ფრედაც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ 87-ე წუთზე ხობელი ჩხოლარიას დარტყმამ ზუსტად მიაღწია მიზანს.

გაფრთხილებული არიან გორელი გ. გელდიაშვილი და ხობელი მ. ზაქარაია. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა მეორედ მიიღო გაფრთხილება წლევანდელ სეზონში.

● „ისანი" (თბილისი) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

ისნელებს გამარჯვება მოუტანა ჟუკოვის გოლმა.

ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს გ. ქელეხიძე (ასკ) და ო. მანუჩაროვი („ისანი").

● „სამცხე" (აწყური) — „შუქურა" (ქობულეთი) 4:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „ხულორი" (ვანი) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 4:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ჩახუნაშვილის მიერ გატანილი გოლი ტაიმის დასასრულს გაქვითა წულუკიძელმა უგულავამ. შესვენების შემდეგ ინიციატივას მთლიანად „ხულორი" დაეუფლა — ჩახუნაშვილმა და გოგელიამ (ორჯერ) დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს.

● „გიგანტი" (ლაითური) — „განთიადი" (ბორჯომი) 8:2. მსაჯი ზ. გვანცელაძე (თბილისი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი კ. მურადიანი (ბათუმი).

# ზონებში გამარჯვებულთა ფინალი

მოგვყავს ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული გუნდების ფინალურ შეჯიბრებათა კალენდარი.

**7 ოქტომბერი.** „ლიახვი" (გორის რაიონი) — „ფეიქარი" (ქუთაისი), ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) — „რუბეროიდი" (გარდაბანი).

**8 ოქტომბერი.** „ავტომობილისტი" (ჩაქვი) — „ყინწვისი" (ქარელი).

**12 ოქტომბერი.** „ყინწვისი" (ქარელი) — ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი), „ფეიქარი" (ქუთაისი)—„ავტომობილისტი" (ჩაქვი), კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო" (ოჩამჩირის რაიონი) — „ლიახვი" (გორის რაიონი).

## საქართველოს პირველობა

● „ივერია" (ხაშური) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ტაიმს შედეგი არ მოუცია. 50-ე წუთზე ანგარიში გახსნა ხაშურელმა ლაბაძემ, რასაც რამდენიმე წუთის შემდეგ მოჰყვა ჭელიძის საპასუხო გოლი. შემდგომში იმავე ლაბაძემ შეძლო თავისი გუნდის დაწინაურება.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:3. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

თანაკლუბელთა შეხვედრა საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა (გიგოლაშვილი), მაგრამ კოხრეიძემ გაქვითა ეს გოლი, ხოლო დვალიშვილმა დააწინაურა სტუმრები. ტაიმის დასასრულამდე თბილისელმა გაგუამ შეძლო თანაფარდობის აღდგენა — 2:2. დაძაბული ბრძოლა არც შესვენების შემდეგ დამცხრალა. მისი ბედი გადაწყვიტა სამტრედიელთა მცველის კალაძის ზუსტმა დარტყმამ.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 1:2. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ანგარიში თანაბარი იყო — 1:1. ერთ-ერთ მომენტში სტუდენტთა გუნდის მცველი და მეკარე შეეჯახნენ ერთმანეთს, ბურთი მიუვიდა თელაველ იმერლიშვილს, რომელმაც ზუსტად დაარტყა.

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებულია თბილისელი ა. ქილიფთარი.

● „დინამო" (ზუგდიდი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 2:1. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

ამ მატჩში სამივე გოლი ბოლო 8 წუთში გავიდა. დინამოელების ზვანბაიასა და დარასელიას ორ გოლს გარდაბნელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (გუგუშვილი).

● ასკ (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის წლევანდელ სეზონში მეორე გაფრთხილება მიეცა არმიელ ი. ტოპოლსკოვს.

● „განთიადი" (ბორჯომი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

გაფრთხილებული არიან ბორჯომელი ჯ. ფირცხალავა და თბილისელი ბ. სანოძე. ეს წლეულს ჯ. ფირცხალავასთვის მეორე გაფრთხილებაა, ხოლო ბ. სანოძისთვის — მესამე.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„დურუჯი" (ყვარელი) — „ცისკარი" (სიღნაღი) 2:0, „მევენახე" (ბოლნისი) — „ავტომობილისტი" (ცხინვალი) 1:1, „შირაქი" (წითელი წყარო) — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:0, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „ვარძია" (ასპინძა) 0:2.

#### II ზონა

„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:4, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „განთიადი" (აბაშა) 2:1, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „კომეტა" (ფოთი) 3:0, „სქური" (წალენჯიხა) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 3:2, „დიოსკურია" (სოხუმი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 5:2, „მშიური" (გალი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:4.

### გათამაშების ცხრილი
#### I ჯგუფი
მდგომარეობა 5 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 31 | 21 | 8 | 2 | 58—30 | 50 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 31 | 20 | 7 | 4 | 64—25 | 47 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 31 | 18 | 8 | 5 | 55—21 | 44 |
| „ხულორი" (ვანი) | 31 | 14 | 8 | 9 | 35—25 | 36 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 30 | 14 | 8 | 8 | 44—42 | 36 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 31 | 11 | 12 | 8 | 48—40 | 34 |
| „კახეთი" (თელავი) | 29 | 14 | 5 | 10 | 40—38 | 33 |
| „სამცხე" (აწყური) | 32 | 12 | 8 | 12 | 56—47 | 32 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 30 | 12 | 8 | 10 | 27—28 | 32 |
| „ისანი" (თბილისი) | 32 | 11 | 9 | 12 | 30—32 | 31 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 29 | 11 | 8 | 10 | 50—38 | 30 |
| „ივერია" (ხაშური) | 32 | 12 | 5 | 15 | 31—52 | 29 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 31 | 12 | 3 | 16 | 52—50 | 27 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 31 | 10 | 7 | 14 | 32—47 | 27 |
| „იბერია" (ცხაკაია) | 31 | 10 | 6 | 15 | 36—52 | 26 |
| ასკ (თბილისი) | 29 | 7 | 11 | 11 | 35—36 | 25 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 29 | 8 | 9 | 12 | 20—31 | 25 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 29 | 7 | 8 | 14 | 34—41 | 22 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 31 | 6 | 9 | 16 | 43—57 | 21 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 31 | 5 | 8 | 18 | 23—45 | 18 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 29 | 4 | 7 | 18 | 13—49 | 15 |

→ ორი „ლოკომოტივის" შეხვედრაში სამტრედიელებმა იმარჯვეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნხენის ოქროს წვიმა

## 6. ტრიუმფი „ბასკეტბალჰალეში“



კალათბურთელთა ტურნირის ამშვენება სსრ კავშირ—აშშ-ს გუნდების მატჩი გახლდათ. თამაში თბილისის დროით ღამის სამ საათზე დაიწყო. ასეთი გვიანი სტარტი გამოწვეული იყო ამერიკის ტელევიზიის თხოვნით, უფრო სწორად, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისთვის დიდი თანხის შეთავაზებით იმისთვის, რომ ამერიკის კონტინენტზე პირდაპირი გადაცემა მოეწყოთ.

ყველა სარბიელი დაცარიელდა, მიყუჩდა ოლიმპიური სოფლის მიდამოებიც. ფხიზლობდა მხოლოდ ჟურნალისტთა ადგილსამყოფელი— პრეს-ცენტრი. რა მოგვასვენებდა, როცა ასეთი მატჩის მოლოდინში ვიყავით. კოლეგებმა თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე გადავწყვიტეთ წასვლა და არც შევმცდარვართ. ამაში „ბასკეტბალჰალეში“ შესვლისთანავე დავრწმუნდით: ტრიბუნები უკვე სავსე იყო მაყურებლებით, პრესის ლოჟაში თავისუფალი ადგილი აქა-იქ ჩანდა. სხვადასხვა ქვეყნის ტელევიზიისა თუ სააგენტოების კორესპონდენტები უკვე შესდგომოდნენ საქმიანობას.

მატჩის დაწყებამდე კიდევ საათნახევარი იყო დარჩენილი, მაგრამ დარბაზში უკვე გაისმოდა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი კი არა, ნამდვილი ყვირილი. თავიანთ რედაქციებს ჟურნალისტები გადასცემდნენ გადამწყვეტი შეხვედრის გამო მიუნხენში ატეხილი აჟიოტაჟის ამბებს, აჯასებდნენ მეტოქეთა შანსებს, აცნობდნენ კალათბურთელებს.

მე ვნახე ამერიკელ კალათბურთელთა ნაკრები გუნდები რომისა და ტოკიოს თამაშებში. მაშინ ისინი ადვილად გაუმკლავდნენ ყველა მეტოქეს ფინალური მატჩების ჩათვლით და სულ იოლად მიაღწიეს ოლიმპიურ მწვერვალს. მიუნხენში კი ამერიკელთა გუნდი ასეთი მძლავრი ძალა აღარ იყო: ნაკრებში არ თამაშობდნენ ისეთი ვირტუოზული კლასის კალათბურთელები, როგორიც, ვთქვათ, რომში რობერტსონი, ტოკიოში კი ლუკასი იყვნენ. ნათქვამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ შეერთებული შტატების ნაკრებმა ძლივს, რაღაც სასწაულით გამოგლიჯა გამარჯვება ბრაზილიისა და კუბის გუნდებს, — მხოლოდ ბოლო წუთებში შეძლო პატარა უპირატესობით მოგება. ამიტომ შეიძლებოდა საბჭოთა სპორტსმენებს წარმატებაზე ეფიქრათ და ჩვენც ამის მოლოდინში ვიყავით.

მსაჯმა შეხვედრის დაწყების ნიშანი მისცა. რის დაზვერვა, რა დაზვერვა! — მეტოქეებმა უმალვე შეუტიეს ერთმანეთს. პირველ წარმატებას საბჭოთა გუნდმა მიაღწია: ამერიკელები დაჯარიმდნენ და სსრ კავშირის ნაკრები 8 ქულით დაწინაურდა. ამას მოჰყვა ზ. საკანდელიძის ორი ზუსტი ტყორცნა — 7:1. უნდა ითქვას, რომ მთელი მატჩის მანძილზე ბრწყინვალედ თამაშობდნენ საკანდელიძე, ს. ბელოვი, მ. ქორქია, ი. ედეშკო, ა. ბელოვი. ვერ ბრწყინავდნენ ა. ჟარმუხამედოვი (გუნდს მხოლოდ 4 ქულა მოუტანა) და გ. ვოლნოვი, რომელიც მოედანზე მაშინ გამოიყვანეს, როცა საბჭოთა სპორტსმენები მთელი 10 ქულით წინ იყვნენ. ორ წუთში ვოლნოვმა 4 საჯარიმო მიიღო, ანგარიშში სხვაობა კი 5 ქულამდე დავიდა.

მეორე ტაიმში მომხდარი ამბები სპორტის გულშემატკივრებმა ტელევიზიის საშუალებით კარგად იციან. ისიც ნახეთ, როგორ იზეიმეს გამარჯვება ჯერ ამერიკელებმა, შემდეგ კი საბჭოთა სპორტსმენებმა. აი, რა მოხდა: როცა შეხვედრის დამთავრებამდე 40 წამზე ნაკლები იყო დარჩენილი, საბჭოთა გუნდი მატჩს 3 ქულით იგებდა და მისი გამარჯვება არავის ეეჭვებოდა, ამერიკელებმა შეუძლებელი შეძლეს: ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, მერე კი ერთი ქულით დაწინაურდნენ. 89 წუთის მონაპოვარი ქარს უნდა წაეღო, ვინაიდან სულ რაღაც 3 წამი იყო დარჩენილი. ედეშკომ ბურთი თამაშში შეიყვანა თუ არა, დროის აღმრიცხველი რატომღაც ჩაირთო და სანამ ბურთი ედეშკოს პარტნიორამდე მიაღწევდა, სირენის ხმაც გაისმა. ეს, რასაკვირველია, არ იყო სწორი. მრიცხველი მაშინ უნდა ჩაერთოთ, როცა საბჭოთა გუნდის რომელიმე მოთამაშე ბურთს მიიღებდა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ჯონსი სამართლიანად ჩაერია საქმეში — მოითხოვა მატჩის განახლება 3 წამით. შემდეგ რაც მოხდა, თქვენც კარგად ნახეთ.

„ბასკეტბალჰალეში“ რაღაც აუწერელი რამ ხდებოდა. ამერიკელთა მწვრთნელი აიბა გაშმაგებული წამოხტა და მატჩის კომისარს აუტეხა კამათი. ამერიკელებმა პროტესტი აფრინეს სააპელაციო ჟიურის მისამართით. ვრცელ დარბაზში მყისვე შეიკრიბა სააპელაციო ჟიური საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. სხდომის ჩატარება დიდხანს ვერ მოხერხდა, რადგან დარბაზი ხალხით გაივსო. აქ იყვნენ გუნდების წარმომადგენლები, მსაჯები, ჟურნალისტები და არამკითხე მაყურებლებიც. ამერიკელთა გულშემატკივრები, რომლებიც ტრიბუნებზე მრავლად იყვნენ, სარბიელზე ათას რამეს ისროდნენ. რომ იტყვიან, აირია მონასტერი, სწორედ ასე იყო.

იმ ღამეს ვერაფერი დადგინდა. სააპელაციო ჟიურიმ გადაწყვიტა საქმის გარჩევა მეორე დღისთვის გადაედო — მყუდრო ვითარებაში ეთათბირა.

როგორც ცნობილია, ამერიკელთა პროტესტი უარყვეს და გამარჯვება საბჭოთა კალათბურთელებს მიაკუთვნეს. აშშ-ს გუნდის ხელმძღვანელობის პროტესტის ზოგიერთი პუნქტი სასაცილო იყო. მაგალითად, ერთ-ერთში ეწერა, რომ ა. ბელოვმა გადამწყვეტ ტყორცნამდე თამაშის წესი დაარღვია — აშშ-ს ნაკრების ფარქვეშ მდგარი მთელი 3 წამის განმავლობაში ელოდა ბურთის მიღებას. ეს შეცდომა როგორ მოუვიდათ კალათბურთის კანონმდებლებს?! მატჩის დამთავრებამდე სულ 3 წამი იყო დარჩენილი და ის როგორ მოხდებოდა.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა თავისუფლების კუნძულის კალათბურთელთა თამაშმა. ეს ტურნირის სენსაცია იყო. კუბელებმა ისეთი ბრძოლა გაუმართეს ფავორიტებს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის ნაკრებ გუნდებს, რომ ბოლო წუთებამდე ძნელი იყო დაჯერებით გეთქვა, ვინ გაიმარჯვებდა.

ძლიერად თამაშობდა ბრაზილიის ნაკრებიც. მაგრამ გუნდის წამყვანი მოთამაშეები 30 წელს მიღწეული სპორტსმენები არიან და ბოლომდე ბრძოლა უჭირდათ.

ნამდვილი კალათბურთის კონცერტი იყო ბრაზილიისა და პუერტო-რიკოს გუნდების მატჩი. მეტოქეებმა კალათბურთის უმაღლეს ტექნიკა, ტაქტიკური მახვილგონიერება გვიჩვენეს. მაყურებლები ვერ ასწრებდნენ თვალი ედევნებინათ სწრაფად მოძრავი ბურთისთვის, რომელიც ხან ერთ მხარეს გაიქროლებდა, ხან მეორე მხარეს და ზუსტად ეშვებოდა კალათში.

ეს საინტერესო თამაში პუერტორიკოელებმა 4 ქულით მოიგეს — 87:83.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნხენი — თბილისი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ნაკრების წევრი, თბილისის დინამოელი მ. ქორქია უტევს ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კალათს.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# ალმა-ათასა და ბაქოში

წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ჯგუფური ტურნირებიდან ალმა-ათაში გუშინწინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა, ხოლო ბაქოში — პირველი ტურისა. როგორც ცნობილია, თბილისის „დინამო“ ალმა-ათაში ასპარეზობს. მეორე ტურში „დინამოს“ მეტოქე იყო სსრ კავშირის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის კოლექტივი. თბილისელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 2:3 (0:1, 1:1, 1:0, 0:1).

ალმა-ათის „დინამომ“ ლენინგრადის „ბალტიკას“ სძლია — 3:2.

ბაქოში პირველი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის უნივერსიტეტი — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია 7:4, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 3:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი | 11 | 10 | 1 | 0 | 61—42 | 21 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 10 | 8 | 2 | 0 | 60—43 | 18 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 10 | 4 | 3 | 3 | 45—40 | 11 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 5 | 1 | 5 | 51—51 | 11 |
| „დინამო“ (კიევი) | 10 | 5 | 1 | 4 | 45—46 | 11 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი | 10 | 2 | 3 | 5 | 42—44 | 7 |
| „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) | 9 | 3 | 1 | 5 | 38—41 | 7 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 11 | 1 | 5 | 5 | 42—54 | 7 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 10 | 1 | 3 | 6 | 36—47 | 5 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 10 | 2 | 0 | 8 | 37—49 | 4 |

# საფეხბურთო სანახაობა ბაზელში

როგორც ეს წინასწარი მოლაპარაკებით იყო განსაზღვრული, 3 ოქტომბერს შვეიცარიის ქალაქ ბაზელის სტადიონზე გაიმართა მეტად საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში: ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ნაკრები გუნდები.

ორივე გუნდს ჰქონდნენ მთელი რიგი ძლიერესი ფეხბურთელები. კერძოდ, სამხრეთ ამერიკის ნაკრებში არ იყვნენ გამოჩენილი ბრაზილიელები, ხოლო ევროპელებს აკლდათ საუკეთესო დასავლეთგერმანელი და ინგლისელი ფეხბურთელები. მიუხედავად ამისა, მატჩი, რომელიც ტელევიზიით ვნახეთ, მიმდინარეობდა უაღრესად მიმზიდველ ბრძოლაში. როგორც სამხრეთამერიკელმა, ისე ევროპელმა ვარსკვლავებმა აჩვენეს ბურთის ფლობის უმაღლესი ტექნიკა, მახვილგონივრული კომბინაციები, თუმცა ტემპი დროდადრო ნელი იყო. ასეა თუ ისე, მატჩი თავისი რანგის სრული შესატყვისი გამოდგა.

სწორედ შეტევის დასკვნით ფაზაში მეტმა სისწრაფემ მოუტანა გამარჯვება ოკეანისგაღმელ სტუმრებს: 35-ე წუთზე შესანიშნავი თავური დარტყმით პერუელმა კუბილასმა ანგარიში გახსნა (მან მანამდეც გაიტანა გოლი, მაგრამ მსაჯი აშკარად შეცდა, როცა თამაშგარე მდგომარეობა მიიჩნია). 65-ე წუთზე მანეირომ (ურუგვაი) იუგოსლაველი მარიჩის კარში (მან ვიქტორი შეცვალა) მეორე ბურთი გაიტანა.

ნაკრები გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ (მოყვანილია მეორე ტაიმში მომხდარი ცვლილებებით): ევროპა—ვიქტორი (ჩეხოსლოვაკია), მარიჩი (იუგოსლავია), შნელინგერი, ჰალერი (ორივე — გფრ), ჰილარიო (პორტუგალია), სალვადორე, ანკილეტი, ფაკეტი, ჯულიანო, ბერტინი (ყველა — იტალია), ველასკესი, ამანსიო (ორივე — ესპანეთი), კრუიფი, ვან ჰანეგემი (ორივე — ჰოლანდია), ლიუბანსკი (პოლონეთი), ალბერტი, ბენე (ორივე — უნგრეთი), ჯაიჩი (იუგოსლავია); სამხრეთ ამერიკა — სანტორო (არგენტინა), მანგა (ბრაზილია), პავონი, ვოლფი, როსლი, ერედია, ვარგასი, ალონსო, ბრინდიზი, აიალა (ყველა — არგენტინა), ჩუმპიტასი, მურანტე, სოტილი, კუბილასი, ბაილონი (ყველა — პერუ), მონტერო-კასტილიო, მანეირო (ორივე — ურუგვაი).

ბოლო წლებში ევროპის ნაკრების შემადგენლობაში პირველად არ ჩანდნენ საბჭოთა ფეხბურთელები.

საკმაოდ ცივი ამინდის მიუხედავად, მატჩს 14500 მაყურებელი დაესწრო.

# „ოფიციალური ოლიმპიური გაზეთი“

XX ოლიმპიადის პერიოდში თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრესის სამსახური მიუნხენში „ოფიციალურ ოლიმპიურ გაზეთს“ უშვებდა. განსაკუთრებით საყურადღებო ცნობები და კლიშეს წარწერები იბეჭდებოდა სამ ენაზე — გერმანულზე, ფრანგულსა და ინგლისურზე.

გაზეთის ტირაჟი 350 ათასი ცალი იყო. აქედან 25 ათასი ცალი უფასოდ ვრცელდებოდა ოლიმპიურ სოფელში, პრეს ცენტრში და იმ სასტუმროებში, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები ცხოვრობდნენ. დანარჩენი იყიდებოდა დასავლეთ გერმანიასა და საზღვარგარეთ. ერთი ნომერი ნახევარი მარკა ღირდა.

თამაშების შემდეგ გამოიცა „ოფიციალური ოლიმპიური გაზეთის“ სრული კომპლექტი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



„დინამო“ (თბილისი) — „კარპატი“ (ლვოვი)

5 ოქტომბერი

სათადარიგო შემადგენლობანი

6 ოქტომბერი

ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 19 ს.

* * *

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 5 ოქტომბერს, აბონემენტებზე — 5 ოქტომბერს 12-დან 19 საათამდე. საერთო გაყიდვა სტადიონის სალაროებში — 6 ოქტომბერს 10 საათიდან.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 02964